სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

ბრძ N 125, 27.12.2023წ..

დებულება

სამეცნიერო-კვლევით და საბაკალავრო ნაშრომებში პლაგიატის გამოვლენის შესახებ

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს დისერტაციისა და სხვა სამეცნიერო-კვლევით და საბაკალავრო ნაშრომების შემოწმების წესს პლაგიატის არსებობაზე.

1.2 დებულების ამოქმედება მიზნად ისახავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლებას სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების შესრულების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ხელშეწყობით, ახალი ცოდნის გენერირებითა და გამოყენებით.

1.3 დებულების მოთხოვნები ვრცელდება სადოქტორო დისერტაციებზე/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომებზე/ სდასუ-ში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე/ნაშრომებზე.

2. ტერმინები და განსაზღვრებები

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები და განსაზღვრებები:

პლაგიატი - სხვათა იდეების ან გამოგონებების წინასწარგანზრახვით მითვისება, საკუთარი სახელით სხვისი ნაწარმოების ან მისი ფრაგმენტების გამოქვეყნება შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე. პლაგიატი ორი სახით ხორციელდება - სხვისი ტექსტის სიტყვასიტყვით გადმოტანით ან პერიფრაზით, ანუ სხვისი ტექსტის საკუთარი სიტყვებით გადმოცემით შინაარსის შეუცვლელად.

კორექტული ციტირება - სხვისი ტექსტიდან ამონარიდის ჩართვა ავტორისა და ნაშრომის დასახელების მითითებით, ციტირებისთვის გამართლებული მოცულობით.

არაკორექტული ციტირება - სხვისი ტექსტიდან ამონარიდის ჩართვა ციტირებისთვის გაუმართლებელი მოცულობით.

ტექსტის ორიგინალობა - უნიკალური ელემენტების (სიტყვების, ფრაზების) რაოდენობის თანაფარდობა ტექსტის ყველა ელემენტთან

სხვისი ტექსტიდან ამონარიდის ჩართვა ავტორისა და ნაშრომის დასახელების მიუთითებლად და/ან ციტირებისთვის გაუმართლებელი მოცულობით.

ანტიპლაგიატი - დოკუმენტების შემოწმების საინფორმაციო სისტემა უკვე გამოქვეყნებული წყაროების არამართებულად დასესხებაზე

მსგავსების კოეფიციენტი - განსაზღვრავს დოკუმენტში იდენტური ფრაგმენტების პროცენტულ რაოდენობას, რომელიც სხვა ტექსტში იყო აღმოჩენილი და გამოხატავს აღმოჩენილი მსგავსი სიტყვების თანაფარდობას, ტექსტში არსებული სრული სიტყვების რაოდენობასთან მიმართებით.

მსგავსების კოეფიციენტის მნიშვნელობა 1(SC1) განსაზღვრავს დოკუმენტის რომელი ნაწილი შეიცავს ფრაზას, რომელშიც 5 ან მეტ სიტყვიანი ფრაგმენტია მსგავსი სხვა დოკუმენტში გამოყენებული ფრაზისა, რომელიც მოძიებული იქნა ადგილობრივი უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში, გაცვლითი პროგრამის მონაცემთა ბაზაში არსებული

შეგროვებული ტექსტების, RefBooks -ის მონაცემთა ბაზასა და ასევე სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზასა და ინტერნეტ რესურსებში.

მსგავსების კოეფიციენტის მნიშვნელობა k2(SC2) განსაზღვრავს დოკუმენტის რომელი ნაწილი შეიცავს ფრაზას, რომელშიც 25 ან მეტ სიტყვიანი ფრაგმენტია მსგავსი სხვა დოკუმენტში გამოყენებული ფრაზისა, რომელიც მოძიებული იქნა ზემოთ ხსენებულ მონაცემთა ბაზებში. (სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის ჩათვლით).

მსგავსების კოეფიციენტი DLA(SC DLA) მიუთითებს გაანალიზებული ტექსტის პროცენტულ რაოდენობას, რომელიც შედგენილია 8 ან მეტ სიტყვიანი ფრაზისგან და მსგავსი ფრაზა მოძიებულია სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზაში.

3. შემოწმების ზოგადი წესები

3.1 სდასუ-ში პლაგიატზე სავალდებულო შემოწმებას ექვემდებარება სამეცნიერო ნაშრომების შემდეგი სახეობები: წინასწარი ექსპერტიზისთვის წარდგენილი სადოქტორო დისერტაციები/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომები/სდასუ-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები/ნაშრომები.

3.2 ნაშრომის შემოწმება ხორციელდება მას შემდეგ, რაც ავტორი წარმოადგენს ნაშრომს და განაცხადს იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს, ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები.

3.3 ერთი და იგივე ნაშრომის შემოწმება პლაგიატის არსებობაზე ტარდება არაუმეტეს ორჯერ.

3.4 სადოქტორო დისერტაციების/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომების/სდასუ-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების/ნაშრომების შემოწმება ხორციელდება ანტიპლაგიატის სისტემის (შემდგომში ანტიპლაგიატი) გამოყენებით - სდასუში გამოიყენება ანტიპლაგიატის პროგრამა **„Strikeplagiarism"-ი.**

3.5. წარდგენილი ნაშრომის ანტიპლაგიატით შემოწმებისთვის დადგენილია შემდეგი ვადები:

3.5.1 სდასუ-ში შესრულებულ სხვა სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე/ნაშრომებზე - არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

3.5.2 დისერტაციებისა და სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომებისათვის - არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა;

3.6 ანტიპლაგიატით შემოწმებისთვის ნაშრომი ბარდება ელექტრონული სახით pdf ფორმატით, რის შესახებაც გაიცემა ცნობა ჩაბარების თარიღის მითითებით.

3.7 ნაშრომი ორიგინალურად მიიჩნევა, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

3.7.1 სდასუ-ში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების/ნაშრომებისათვის ანტიპლაგიატის სისტემის ანგარიშის მსგავსების კოეფიციენტი K1 არ უნდა აღემატებოდეს 30%, ხოლო მსგავსების კოეფიციენტი K2 – 5%-ს.

3.7.2 სამეცნიერო კონფერენციის მასალებში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს კონფერენციის ორგანიზატორების მიერ დადგენილ პირობებს, მაგრამ ანტიპლაგიატის სისტემის ანგარიშის მსგავსების კოეფიციენტი K1 არ უნდა აღემატებოდეს 30%, ხოლო მსგავსების კოეფიციენტი K2 – 5%-ს.

3.7.3 სადისერტაციო ნაშრომისათვის ანტიპლაგიატის სისტემის ანგარიშის მსგავსების კოეფიციენტი K1 არ უნდა აღემატებოდეს 25%, ხოლო მსგავსების კოეფიციენტი K2 – 5%-ს.

3.7.4. სამაგისტრო ნაშრომისათვის ანტიპლაგიატის სისტემის ანგარიშის მსგავსების კოეფიციენტი K1 არ უნდა აღემატებოდეს 35%, ხოლო მსგავსების კოეფიციენტი K2 – 5%-ს.

3.7.5. საბაკალავრო ნაშრომისათვის ანტიპლაგიატის სისტემის ანგარიშის მსგავსების კოეფიციენტი K1 არ უნდა აღემატებოდეს 50%, ხოლო მსგავსების კოეფიციენტი K2 – 10%-ს.

3.8 იმ შემთხვევაში, თუ მსგავსების წილი სამეცნიერო ნაშრომში აჭარბებს დებულებით დადგენილს, მიიღება გადაწყვეტილება ნაშრომის დეტალური ანალიზისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ დეტალური ანალიზისას დადასტურდება პლაგიატი, მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება მისი დაცვაზე დაშვების/გამოქვეყნების თაობაზე.

3.9 ნაშრომი, რომელმაც გაიარა შემოწმება ანტიპლაგიატის სისტემით და მიიღო უარყოფითი შეფასება, შეიძლება ხელახლა გადამუშავდეს ავტორის მიერ არაუმეტეს ერთი თვის ვადაში.

3.10 თუ განმეორებითი შემოწმებისას შეფასება კვლავ უარყოფითია, ნაშრომი დაცვაზე/ გამოსაქვეყნებლად არ დაიშვება.

3.11 თუ ავტორი არ ეთანხმება ანტიპლაგიატის სისტემით მიღებულ უარყოფით შეფასებას, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო/სადისერტაციო საბჭო გამოყოფს კომისიას ნაშრომის ექსპერტული შემოწმებისთვის პლაგიატის არსებობაზე. საბოლოო გადაწყვეტილება ნაშრომის დაცვაზე დაშვების/გამოქვეყნების თაობაზე მიიღება ფაკულტეტის საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე.

3.12 ანტიპლაგიატით შემოწმების ოქმი, ასევე ექსპერტთა დასკვნები (საექსპერტო შემოწმების შემთხვევაში), სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა ინახება სადოქტორო დისერტაციასთან/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომთან/სდასუ-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევით პროექტთან/ნაშრომთან ერთად.

3.13 სადოქტორო დისერტაციაში/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომში/სდასუ-ში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტში/ნაშრომში არ შეიძლება პლაგიატად ჩაითვალოს დაწესებულებების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ნორმატიული სამართლებრივი აქტების დასახელებები, კანონიდან ამონარიდი; გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; მყარი სიტყვათშეთანხმებები, დარგობრივი ტერმინები, ტექსტის კორექტული ციტირება, დოკუმენტებიდან ამონარიდი მათი გაანალიზების მიზნით, თვითციტირება და სხვ.

4. სამეცნიერო ნაშრომის შემოწმების წესი

4.1 ავტორი სადოქტორო დისერტაციის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიას განცხადების (დანართი 1) თანხლებით აბარებს უნივერსიტეტის კანცელარიას, რომელიც გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანს.

4.2 ავტორი სამაგისტრო//საბაკალავრო ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიას განცხადების (დანართი 1) თანხლებით აბარებს შესაბამის ფაკულტეტის დეკანს.

4.3 ავტორი სდასუ-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის/ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიას განცხადების (დანართი 1) თანხლებით აბარებს სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრს.

4.4 სწავლული მდივანი/ფაკულტეტის დეკანი/სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი ორგანიზებას უწევს ნაშრომის შემოწმებას დასესხებული მასალების შემცველობაზე ანტიპლაგიატის სისტემის გამოყენებით და ავტორს გადასცემს შემოწმების ოქმს.

4.5 დადგენილ მოთხოვნებთან სადოქტორო დისერტაციების/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომების/სდასუ-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების/ნაშრომების შეუსაბამობის შემთხვევაში, ავტორი ვალდებულია გადაამუშავოს სადოქტორო დისერტაცია/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომი/სდასუ-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი/ნაშრომი წერილობითი შენიშვნებისა და შემოწმების ოქმის შესაბამისად.

4.6 თუ გადამუშავებული სადოქტორო დისერტაცია/სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომი/სდასუ-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი/ნაშრომი ხელმეორედ არ დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, გატარდება შესაბამის დებულებებში განსაზღვრული ზომები.

დანართი 1

განცხადება

მე, _____

(გვარი, სახელი) (თანამდებობა)

ვაცხადებ, რომ ჩემი _____ თემაზე

(ნაშრომის სახეობა)

_____

რომელიც წარდგენილია დაცვისათვის/საჯარო პუბლიკაციისთვის, არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს და ორიგინალურია. სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები. ყველა გამოყენებული ნაბეჭდი და ელექტრონული წყარო მითითებულია დადგენილი წესით.

ვადასტურებ, რომ გაცნობილი ვარ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დებულებას სამეცნიერო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შესახებ და ინფორმირებული ვარ შესაძლო მისი აღმოჩენის შემთხვევაში სანქციების შესახებ.

ხელმოწერა (გვარი, სახელი).
თარიღი